ჩვენი შუამავლის მეგობრები -5

# ჰზ. ერქამი

მწერალი
ამინე ქევსერ ქარაჯა
აიშე ილდიზ ილდირიმ

მხატვარი
ელიფ იემენიჯი შენ



ჩვენი შუამავლის მეგობრები -5

# ჰზ. ერქამი


მწერალი
ამინე ქევსერ ქარაჯა
აიშე ილდიზ ილდირიმ

მხატვარი
ელიფ იემენიჯი შენ



გამომცემლობის ხელმძღვანელი:
მელიქე გუნიუზ

მწერალი:
ამინე ქევსერ ქარაჯა,
აიშე ილდიზ ილდირიმ

მზატვარი:
ელიფ იემენიჯი შენ

რედაქტორი:
ელიფ ქონარ

რედაქცია:
სევიმ სარიჩამ, მერიემ უჩარ

გრაფიკული უზრუნველყოფა:
აიშე ადაშ

თურქეთის რელიგიის
საქმეთა სამმართველოს
ფონდის გამომცემლობა





ხუთშაბათის ერთ-ერთი საღამო იყო. ამინემ ზარის ხმა გაიგონა და კარისკენ გავარდა.

–რა მაგარია! მამა მოვიდა, –თქვა და კარი გააღო. კეთილი იყოს შენი მოსვლა მამიკო!

–კეთილი იყოს ჩემო გოგონა, ალის აქ არ ჩანს, არ გამზადებულა? –იკითხა.

–შიგნითაა ემზადება. ისე მოუთმენელია ნუ იტყვი. შენთან ერთად ბიძია ისასთან წასვლის შემდეგ თავი დიდი ჰგონია, თითქოს უფროსი ძმა იყოს.





ალი მზად დახვდთ,მალე გზას გაუდგნენ.

–მამიკო, ბიძა ისა რა კარგი ვინმეა. ყოველ კვირას მის სახლში ყურანს კითხულობენ და საუბრობენ. თანაც ბავშვებიც ძალიან უყვარს. საუბრის დასრულების შემდეგ ცკმილეულს, წიგნებსა და სხვადასხვა საჩუქრებს გვირიგებს, –თქვა ალიმ.

–დიახ ჩემო ბიჭუნა, მისი სახლი ზუსტად ჰგავს ერქამის სახლს, –თქვა ბატონმა იუსუფმა.

–ერქამის სახლში მე არ წამიყვანივარ, ეგ სადაა? –ჰკითხა ალიმ.

ბატონ იუსუფს გაეღიმა:

–მეც არასდროს წავსულვარ, მაგრამ ძალიან კი მინდა. ერქამის სახლი მუსლიმანების პირველი შეკრების ადგილი იყო.



–ოოო! მაშინ ჩვეულებრივი მოვლენაა თუ ვერ წავედით, –თქვა ალიმ ღიმილით. აქამდე არასდროს მსმენია, მამიკო შეგიძლია ერქამზე მომიყევით?!

–ერქამი ერთ-ერთი პირველი მუსლიმანი იყო. ერქამი ძალიან მდიდარი და ცნობილი ოჯახის შვილი იყო. ერქამი რომელმაც პირველ ჰიჯრეთის მონაწილე იყო, ბედირის, უჰუდისა და ჰენდეკის ომებში მიიღო მონაწილეობა. წერა-კითხვის მცოდნე იყო, ამიტომაც შემოწირულობის შეგროვება მას ევალებოდა. ჩვენი შუამავლის დროს პირველ მუსლიმანებს ისლამის გასაგებად და სხვებზე ასახსნელად ერთად შეკრება სურდათ. მრავალღმერთიანობის მიმდევრების ცუდი მოპყრობის გამო კი ვერ ახერხებდნენ შეკრებას.

–მამიკო მრავალღმერთიანობის მიმდევრები რას ნიშნავს? –ჰკითხა ალიმ.

–მრავალღმერთიანობის მიმდევრები არიან ისინი, ვინც ისლამს უარყოფს და ალლაჰის ერთბას არ იჯერებს ჩემო პატარავ, უთხრა მამამ. მრავალღმერთიანობის მიმდევრები ისლამის გავრცელებას უშლიდნენ ხელს,



ამიტომ ერქამმა ჩვენი შუამავალი და ჰზ. ებუ ბექირი თავის სახლში დაიბარა.

დიდხანს ისაუბრეს მუსლიმანების ერთად შეკრებასთან დაკავშირებით. საუბრისას ერქამმა თქვა "ეი ალლაჰის ელჩო! ჩემი სახლი თქვენი სახლია. როცა მოგესურვებათ მაშინ შეგიძლიათ გამოიყენოთ შეკრებებისა და საუბრებისთვის!"







– ააა, რა კარგი გამოსავალი უნახავს ერქამს. და სახლში რა გააკეთეს? – ჰკითხა ალიმ.

– მუსლიმანებმა ერქემის სახლში თავი დაცულად იგრძნეს, იქ იკრიბებოდნენ, აიების მნიშვნელობებზე საუბრობდნენ, ასრულებდნენ ღვთისმსახურებას. მრავალი აქ გაეცნო ისლამს. ეს სახლი, რომელსაც დარულ ერქამი ეწოდა, მუსლიმანებისთვის რწმენის გაძლიერების საფუძველი გახდა.

–რა კარგია მამიკო, ერქამმა საკუთარი სახლი სიკეთის სახლად აქცია, –თქვა ალიმ.

–დიახ ჩემო ბიჭუნა. ალლაჰის ნებით ჩვენც ჩვენს სახლს მისი სახლივით ვაქცევთ,
–გაართო ბატონმა იუსუფმა ალი. მაშინ შემდეგი კვირის სასაუბროდ შეკრება ჩვენთან გავაკეთოთ?

–ძალიან კარგი იქნება მამიკო, –უპასუხა ალიმ.



muslim georgia



–არ დაგავიწყდეს ალი, ჩვენი სახლი სიკეთის სახლად რომ იქცეს, შენც უნდა შეიტანო წვლილი.

–კარგი, ჩემი ოთახის გამოყენებაც შეგვიძლია, სათამაშოებისაც კი, –თქვა და ცოტათი შენაღვლიანდა ალი.

–რა ხდება ალი, სათამაშოების გაცემა ხომ არ გადაიფიქრე? –გაეხუმრა ბატონი იუსუფი.



–არ გდამიფიქრებია, მაგრამ ახალი ნაყიდი მატარებელი რომ არ გავცე შეიძლება?

ბატონი იუსუფი ცოტა ხნით წყნარად იყო. შემდეგ თავი ვეღარ შეიკავა და ხმამაღლა გაიცინა.

მამის სიცილზე ალიმ ღრმად ჩაისუნთქა.



სახლებს გადახედეთ. რომელი შეიძლება იყოს ერქამის სახლი? გამოიცანით და წრეში შემოხაზეთ











muslim georgia